

**თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიას აკადემიური პოზიციის დასაკავებლად:**

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- 1.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 6 წლის.
- 1.2. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
- 1.3. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

2. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებით:

- 2.1. ახლო აღმოსავლეთის ისტორია (1 ვაკანსია - პროფესორი)
- 2.2. ვალდებულებითი სამართალი (1 ვაკანსია - პროფესორი)
- 2.3. თურქული ენა (2 ვაკანსია - პროფესორი; 1 ვაკანსია - ასოცირებული პროფესორი)
- 2.4. მათემატიკა (1 ვაკანსია - პროფესორი)
- 2.5. მათემატიკური ლოგიკა (1 ვაკანსია - ასოცირებული პროფესორი)
- 2.6. მარკეტინგი (2 ვაკანსია - ასოცირებული პროფესორი)
- 2.7. მენეჯმენტი (1 ვაკანსია - ასოცირებული პროფესორი)
- 2.8. მსოფლიო ისტორია და საქართველო ( 2 ვაკანსია - პროფესორი)
- 2.9. პროგრამირება (1 ვაკანსია - ასოცირებული პროფესორი)
- 2.10. რელიგია და პოლიტიკა (1 ვაკანსია - პროფესორი)
- 2.11. სისხლის სამართალი (1 ვაკანსია - პროფესორი)
- 2.12. ფინანსები (1 ვაკანსია - პროფესორი; 2 ვაკანსია - ასოცირებული პროფესორი)
- 2.13. ფიზიკა (1 ვაკანსია - პროფესორი )
- 2.14. ფსიქოლოგია (1 ვაკანსია - პროფესორი)

3. განცხადებების მიღების ვადად განისაზღვროს **2018 წლის 14 ივლისიდან - 2018 წლის 19 ივლისის ჩათვლით.**
4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:
  - 4.1. ბიოგრაფია (CV);
  - 4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
  - 4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
  - 4.4. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
  - 4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;
  - 4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. დოკუმენტაციის მიიღება განხორციელდეს ელექტრონულად, შემდეგ ბმულზე - <https://form.jotform.me/81623592218458>
6. კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა განხორციელდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდეს გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.
7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართოს **2018 წლის 20 ივლისიდან - 2018 წლის 25 ივლისის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან ჩატარდეს **2018 წლის 26 ივლისიდან - 2018 წლის 31 ივლისის ჩათვლით.**
8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე. აკადემიურ პოზიციაზე არჩევა ხდება 4 წლის ვადით.

**9. საკონტაქტო ინფორმაცია:**

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსი

ვებ-გვერდი: [www.freeuni.edu.ge](http://www.freeuni.edu.ge)

ელ.მისამართი: [Vacancy@freeuni.edu.ge](mailto:Vacancy@freeuni.edu.ge)